სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის

ბრძანება №205
2013 წლის 11 ოქტომბერი

ქ. თბილისი

საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ

„საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ“ ჩიკაგოს 1944 წლის კონვენციის, საქართველოს საჰაერო კოდექსის მე-9, 21-27-ე მუხლების, „ტრანსპორტის სფეროს მართვისა და რეგულირების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის, „სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

დამტკიცდეს თანდართული „საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეგისტრაციის წესი“ №1-7 დანართებთან ერთად.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის
სააგენტოს დირექტორი **გურამ ჯალაღონია**

საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეგისტრაციის წესი

თავი I

ძირითადი დებულებები. ტერმინების და ცნებების განმარტებები

მუხლი 1. ძირითადი დებულებები

1. საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეგისტრაციის წესი (შემდგომ – წესი) შემუშავებულია საქართველოს საჰაერო კოდექსის, „სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის, „საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ“ ჩიკაგოს 1944 წლის კონვენციის III („საჰაერო ხომალდების ეროვნულობა“) და V („საჰაერო ხომალდების დაცვის პირობები“) თავების, ამ კონვენციის №7 („საჰაერო ხომალდების ნაციონალური და სარეგისტრაციო ნიშნები“) დანართის საფუძველზე.

[1. საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეგისტრაციის წესი (შემდგომ – წესი) შემუშავებულია საქართველოს საჰაერო კოდექსის, „სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის, „საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ“ ჩიკაგოს 1944 წლის კონვენციის III („საჰაერო ხომალდების ეროვნულობა“) და V („საჰაერო ხომალდების დაცვის პირობები“) თავების, ამ კონვენციის №7 („საჰაერო ხომალდების ნაციონალური და სარეგისტრაციო ნიშნები“) დანართის და „საავიაციო ობიექტებთან დაკავშირებით მოძრავი მოწყობილობების მიმართ საერთაშორისო გარანტიების შესახებ“ კეიპტაუნის 2001 წლის კონვენციის საფუძველზე.*(ამოქმედდეს 2026 წლის 1 აგვისტოდან)]*

2. წესი, ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ადგენს საქართველოში სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტის – სერტიფიკატის გაცემის სამართლებრივ საფუძვლებს.

3. წესის მოთხოვნები ვრცელდება იმ სამოქალაქო საჰაერო ხომალდებზე, რომლებიც უნდა დარეგისტრირდნენ ან რეგისტრირებული არიან საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრში.

4. წესის მოთხოვნების დაცვაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი –

სამოქალაქო ავიაციის სააგენტო (შემდგომ – სააგენტო).

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2026 წლის 23 ივლისის ბრძანება №143 - ვებგვერდი, 27.07.2026წ.

მუხლი 2. ტერმინების და ცნებების განმარტებები

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს და ცნებებს, ამ წესის მიზნებისათვის, აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) აეროსტატი – ჰაერზე მსუბუქი საფრენი აპარატი, რომელიც მოძრაობაში მოდის ძალური დანადგარის გარეშე;

ბ) ამოსაცნობი ნიშანი – რეგისტრაციის სახელმწიფოს მიერ კონკრეტული საჰაერო ხომალდისათვის მიკუთვნებული ნაციონალური და სარეგისტრაციო ნიშნების ერთობლიობა;

გ) დამამზადებელი სახელმწიფო – სახელმწიფო, რომელსაც გააჩნია იურისდიქცია იმ საწარმოზე, რომელიც პასუხისმგებელია საჰაერო ხომალდის საბოლოო აწყობაზე;

დ) დირიჟაბლი – ჰაერზე მსუბუქი საფრენი აპარატი, რომელიც მოძრაობაში მოდის ძალური დანადგარის მეშვეობით;

ე) (ამოღებულია - 17.07.2019, №143);

ვ) თვითმფრინავი – ჰაერზე მძიმე საფრენი აპარატი, რომელიც მოძრაობაში მოდის ძრავის მეშვეობით და მისი ფრენისას ამწევი ძალა იქმნება ძირითადად უძრავი ზედაპირების აეროდინამიკური რეაქციის შედეგად;

ზ) მოდიფიცირება – საჰაერო ხომალდის და/ან მისი მაკომპლექტებელი ნაკეთობების ტექნიკური მონაცემების გაუმჯობესების და/ან კონსტრუქციული ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით ჩატარებული სამუშაოების ერთობლიობა;

თ) ნაციონალური ნიშანი – ელექტროკავშირის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ რეგისტრაციის სახელმწიფოსათვის გამოყოფილი ნაციონალობის აღმნიშვნელი სიმბოლო;

ი) რეგისტრაციის სერტიფიკატი – რეგისტრაციის სახელმწიფოს მიერ სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრში კონკრეტული საჰაერო ხომალდის რეგისტრირების დამადასტურებელი აღრიცხვის დოკუმენტი;

კ) რეგისტრაციის სახელმწიფო – სახელმწიფო, რომლის რეესტრშიც არის შეტანილი საჰაერო ხომალდი;

ლ) საავიაციო ძრავა – ძრავა, რომელიც განკუთვნილია საჰაერო ხომალდის მოძრაობაში მოსაყვანად. ძრავის შემადგენლობაში შედის მისი ფუნქციონირების და კონტროლისათვის საჭირო კომპონენტები და მოწყობილობები, გარდა საჰაერო ხრახნისა (ასეთის გამოყენების შემთხვევაში);

მ) სამოქალაქო საჰაერო ხომალდი – საჰაერო ხომალდი, რომელიც გამოიყენება სამოქალაქო ავიაციის მიზნებისათვის და შეტანილია სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრში;

ნ) სარეგისტრაციო ნიშანი – ციფრებისა და/ან ასოებისაგან შემდგარი სიმბოლო, რომელიც მიეკუთვნება კონკრეტულ საჰაერო ხომალდს სააგენტოს მიერ;

ო) სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრი – აღრიცხვის დოკუმენტი სამოქალაქო საჰაერო ხომალდების მონაცემთა სისტემური ერთობლიობის თაობაზე;

პ) საჰაერო ხომალდი (საფრენი აპარატი) - ნებისმიერი აპარატი, რომელიც ატმოსფეროში მდებარეობას ჰაერთან ურთიერთქმედების შედეგად ინარჩუნებს, დედამიწის ზედაპირიდან არეკლილ ჰაეროვან ურთიერთქმედების გამოკლებით, საჰაერო ხომალდებია: თვითმფრინავი, შვეულმფრენი, პლანერი და სხვა საშუალებები;

ჟ) საჰაერო ხომალდის ერთეული ეგზემპლარი – საჰაერო ხომალდი, რომელსაც არ ჰქონია და არც გააჩნია ტიპის სერტიფიკატი, არ წარმოებულა და არ იწარმოება სერიულად;

რ) საჰაერო ხომალდის მესაკუთრე - პირი, რომელსაც გააჩნია საჰაერო ხომალდის განკარგვის უფლება;

ს) საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტი - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც საჰაერო ხომალდის ექსპლუატაციას ახორციელებს;

ტ) საჰაერო ხომალდის იდენტიფიცირება - განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ განაცხადის მონაცემებთან საჰაერო ხომალდის შესაბამისობის დადგენა;

უ) ტექნიკური მომსახურება – საჰაერო ხომალდის საფრენად ვარგისობის შენარჩუნების უზრუნველსაყოფად ცალ-ცალკე ან ერთობლივად ისეთი სამუშაოების ჩატარება, რომელიც მოიცავს აღმდგენ, შემოწმებით, გაუმართაობების აღმოფხვრის სამუშაოებს, ასევე მოდიფიცირების და/ან რემონტის პრაქტიკულ განხორციელებას;

ფ) ტიპის სერტიფიკატი – საჰაერო ხომალდის ტიპის კონსტრუქციის განსაზღვრის დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ ეს კონსტრუქცია შეესაბამება ფრენის ვარგისობის დადგენილი ნორმების მოთხოვნებს;

ქ) ფრენის ვარგისობის სერტიფიკატი - საჰაერო ხომალდის ტიპის სერტიფიკატის და ფრენისათვის ვარგისობის ნორმებთან შესაბამისობის დამადასტურებელი საბუთი;

ღ) ფრენის ვარგისობის საექსპორტო სერტიფიკატი – აღრიცხვის საბუთი, რომელიც ადასტურებს, რომ სერტიფიკატში აღნიშნული ნაკეთობა სათანადოდ შემოწმებულია, ამ სერტიფიკატის გაცემის თარიღისათვის შეესაბამება იმპორტიორი სახელმწიფოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ფრენის ვარგისობის ნორმებს და აკმაყოფილებს იმპორტიორი ქვეყნის მიერ მიღებულ სპეციალურ მოთხოვნებს, გარდა ამ სერტიფიკატში აღნიშნული გამონაკლისებისა. საექსპორტო სერტიფიკატი არ იძლევა ნაკეთობის ექსპლუატაციის უფლებას.

ყ) შვეულმფრენი – ჰაერზე მძიმე საფრენი აპარატი, რომელიც ჰაერში მდებარეობას ინარჩუნებს არსებითად ვერტიკალური ღერძის გარშემო ძრავის საშუალებით მბრუნავი ერთი ან რამდენიმე მზიდი ხრახნის ჰაერთან ურთიერთქმედების შედეგად;

შ) ცეცხლგამძლე მასალა – მასალა, რომელიც მაღალ ტემპერატურას უძლებს როგორც ფოლადი, ან უფრო უკეთესად, იმ პირობით, თუ მისი ზომები ორივე შემთხვევაში შეესაბამება კონკრეტულ დანიშნულებას;

ჩ) ჰაერზე მსუბუქი საფრენი აპარატი – საფრენი აპარატი, რომელიც ჰაერში მდებარეობას ინარჩუნებს თავისი აეროსტატიკური ამწევი ძალის მეშვეობით;

ც) ჰაერზე მძიმე საფრენი აპარატი – საფრენი აპარატი, რომლის ამწევი ძალა იქმნება ძირითადად აეროდინამიკური ძალების ხარჯზე;

ძ) ICAO – სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია;

წ) EASA - ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტო;

[ჭ) კეიპტაუნის კონვენცია- „საავიაციო ობიექტებთან დაკავშირებით მოძრავი მოწყობილობების მიმართ საერთაშორისო გარანტიების შესახებ“ კეიპტაუნის 2001 წლის კონვენცია, რომელიც აერთიანებს „მოძრავი მოწყობილობების მიმართ საერთაშორისო გარანტიების შესახებ“ კონვენციასა და „მოძრავი მოწყობილობების მიმართ საერთაშორისო გარანტიების შესახებ“ კონვენციის ოქმს „საავიაციო მოწყობილობების თაობაზე;

ხ) კრედიტორი- კეიპტაუნის კონვენციით განსაზღვრული პირი.*(ამოქმედდეს 2026 წლის 1 აგვისტოდან)]*

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2019 წლის 17 ივლისის ბრძანება №143 - ვებგვერდი, 22.07.2019წ.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2025 წლის 6 თებერვლის ბრძანება №23 - ვებგვერდი, 10.02.2025წ.

თავი II
სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეგისტრაცია

მუხლი 3. ზოგადი დებულებები

1. სამოქალაქო საჰაერო ხომალდს (შემდგომ – სხ) არ აქვს ფრენის უფლება, თუ ის რეგისტრირებული არ არის საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრში (შემდგომ – სახელმწიფო რეესტრი) ან რეგისტრირებული არ არის სხვა სახელმწიფოს მიერ. სახელმწიფო რეესტრის ფორმა განისაზღვრება ამ წესის დანართი №6-ის შესაბამისად.
2. სააგენტო ვალდებულია აწარმოოს სახელმწიფო რეესტრი, სადაც შეტანილი უნდა იქნეს საქართველოში რეგისტრირებული სამოქალაქო საჰაერო ხომალდის რეგისტრაციის სერტიფიკატში აღნიშნული ინფორმაცია.

3. საქართველოში სამოქალაქო სხ-ის სახელმწიფო რეგისტრაცია ხორციელდება, თუ:

ა) სხ-ის მესაკუთრე არის:

ა.ა) საქართველოს/უცხო სახელმწიფოს ფიზიკური პირი;

ა.ბ) საქართველოში/უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული იურიდიული პირი;

ა.გ) საქართველო.

ბ) სხ-ს აქვს EASA-ს მიერ გაცემული/აღიარებული ტიპის სერტიფიკატი, გარდა შვეულმფრენისთვის და 5700 კგ-ზე ნაკლები მაქსიმალური ასაფრენი მასის და არაუმეტეს 19 სერტიფიცირებული სამგზავრო ადგილის მქონე თვითმფრინავისთვის, რომლის ექსპლუატაცია ხორციელდება მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოს/ადგილობრივი თვითმმართველობის უშუალო დაკვეთით ისეთი სპეციალური ფრენების შესრულების მიზნით, როგორიცაა: სამხედრო-საპოლიციო, საბაჟო, საძებნ-სამაშველო, ხანძარსაწინააღმდეგო, სასაზღვრო-საკონტროლო, სანაპირო-დაცვითი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების და სეტყვის საწინააღმდეგო მიზნებისათვის - ICAO-ს წევრი სახელმწიფოს მიერ გაცემული ტიპის სერტიფიკატი ან ეკვივალენტური საბუთი, რომელშიც აღწერილი იქნება საჰაერო ხომალდის საექსპლუატაციო-ტექნიკური მახასიათებლები და ინსტრუქციები;

გ) სხ არ არის რეგისტრირებული სხვა რომელიმე სახელმწიფოს რეესტრში.

დ) 34000 კილოგრამზე მეტი მაქსიმალური ასაფრენი მასის და 19-ზე მეტი სერტიფიცირებული სამგზავრო ადგილის მქონე სხ-ები შეესაბამება „საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ“ ჩიკაგოს 1944 წლის კონვენციის მე-16 დანართის პირველი ტომის მე-2 ნაწილის სულ მცირე მე-3 თავის მოთხოვნებს.

3. ექსპერიმენტული და არასამრეწველო ხერხით (არასერტიფიცირებული პირის მიერ) დამზადებული სხ, ასევე საჰაერო ხომალდის ერთეული ეგზემპლარი არ ექვემდებარება სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციას.

4. სხ-ების სახელმწიფო რეესტრში შეტანას და რეგისტრაციის სერტიფიკატის (დანართი №2) გაცემას ახორციელებს სააგენტო.

5. სხ-ის რეგისტრაციის სერტიფიკატი გაიცემა უვადოდ.

6. სახელმწიფო რეესტრში სხ-ის შეტანის დღიდან ამ სხ-ის შესახებ სხვა სახელმწიფოს საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრში ჩანაწერს საქართველო არ ცნობს.

7. სახელმწიფო რეესტრში შეტანილი სხ-ები როგორც საქართველოს საჰაერო სივრცეში, ისე მის ფარგლებს გარეთ, საფრენად დაიშვება მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

8. ფრენის დროს სხ-ის რეგისტრაციის სერტიფიკატი უნდა იყოს სხ-ის ბორტზე. ამ სერტიფიკატის გარეშე სხ-ის ფრენა აკრძალულია.

9. სხ-ის სარეგისტრაციოდ წარდგენილი საბუთები სააგენტოში ინახება მისი სახელმწიფო რეგისტრაციის მთელი პერიოდის და სახელმწიფო რეესტრიდან ამოღებიდან 7 წლის განმავლობაში.

10. სახელმწიფო რეესტრში შეტანილ სხ-ს ენიჭება ამოსაცნობი ნიშანი, ამ წესის III თავის შესაბამისად.

11. სხ საფრენად არ დაიშვება, თუ მასზე არ არის ამ „წესის“ III თავით განსაზღვრული პირობებით დატანილი ამოსაცნობი ნიშანი.

12. სხ-ის მესაკუთრე/ექსპლუატანტი ვალდებულია უზრუნველყოს:

ა) სხ-ის სარეგისტრაციოდ სააგენტოში წარდგენილი მონაცემების სისწორე და სისრულე;

ბ) სხ-ის იმ მონაცემების და მდგომარეობის შენარჩუნება, რაც შეესაბამება რეგისტრაციის სერტიფიკატში შეტანილ მონაცემებს;

გ) სააგენტოს მიერ გაცემული სახომალდე საბუთების სათანადოდ შენახვა.

13. საქართველოში რეგისტრირებული სხ-ის განადგურების ან ექსპლუატაციიდან სამუდამოდ მოხსნის, ან სხვა ქვეყნის რეესტრში გადაცემის, ან საკუთრების უფლების, ან ექსპლუატანტის, ან ექსპლუატაციის პირობების, ან სახელმწიფო რეესტრში შეტანილ მონაცემებში ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში, სხ-ის მესაკუთრე ან/და ექსპლუატანტი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს ამის თაობაზე.

14. თუ სახელმწიფო რეესტრში პირველად რეგისტრირდება სხ-ის ტიპი, სააგენტო ვალდებულია შეატყობინოს ამის თაობაზე სხ-ის დამამზადებელი სახელმწიფოს საავიაციო ხელისუფლებას.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2019 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №252 - ვებგვერდი, 31.12.2019წ.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2022 წლის 5 ოქტომბრის ბრძანება №218 - ვებგვერდი, 07.10.2022წ.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2023 წლის 18 აპრილის ბრძანება №73 - ვებგვერდი, 21.04.2023წ.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2025 წლის 6 თებერვლის ბრძანება №23 - ვებგვერდი, 10.02.2025წ.

მუხლი 4. საჰაერო ხომალდის სახელმწიფო რეგისტრაცია და რეგისტრაციის სერტიფიკატის გაცემა

1. სხ-ის მესაკუთრის ან ექსპლუატანტის (მესაკუთრის მიერ მასზე მინიჭებული უფლების შემთხვევაში) მიერ სააგენტოს წარედგინება შემდეგი საბუთები:

ა) განაცხადი (დანართი №1);

ბ) მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი საჭიროებისას;

გ) სხ-ის საკუთრების უფლების დამადასტურებელი საბუთის დედანი ან დადგენილი წესით დამოწმებული მისი ასლი;

დ) სხ-ის ექსპლუატაციის უფლების დამადასტურებელი საბუთის დედანი ან დადგენილი წესით დამოწმებული მისი ასლი (თუ განაცხადი შემოაქვს სხ-ის ექსპლუატანტს);

ე) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (თუ მესაკუთრე/ექსპლუატანტი იურიდიული პირია);

ვ) საიდენტიფიკაციო დოკუმენტის ასლი (თუ მესაკუთრე/ექსპლუატანტი ფიზიკური პირია);

ზ) ექსპორტიორი სახელმწიფოს მიერ გაცემული კონკრეტული სხ-ის ფრენის ვარგისობის საექსპორტო სერტიფიკატი, გარდა შემთხვევისა, თუ საჰაერო ხომალდის იმპორტი ხორციელდება EASA-ს წევრი ქვეყნიდან, შესაძლებელია წარმოდგენილ იქნეს ფრენის ვარგისობის მოქმედი სერტიფიკატი;

თ) ექსპორტიორი სახელმწიფოს რეესტრიდან სხ-ის ამოღების სერტიფიკატი;

ი) ექსპორტიორი სახელმწიფოს მიერ გაცემული საჰაერო ხომალდის რეგისტრაციის სერტიფიკატი;

კ) „საჰაერო ხომალდის ტექნიკური მომსახურების პროგრამა „ტექნიკური რეგლამენტის „საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების წესის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N53 დადგენილების შესაბამისად;

ლ) სააგენტოს მიერ სერტიფიცირებულ ან აღიარებულ საავიაციო ტექნიკის საფრენად ვარგისობის მართვის საწარმოსთან გაფორმებული ხელშეკრულება ამ საჰაერო ხომალდის საფრენად ვარგისობის შენარჩუნების შესახებ, თუ შესაბამისი ექსპლუატანტი თავად არ არის სერტიფიცირებული საწარმო და არ ახორციელებს აღნიშნული საჰაერო ხომალდის საფრენად ვარგისობის მართვას;

მ) საჰაერო ხომალდის მიღება-ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ნ) საჰაერო ხომალდზე არსებულ რადიოგადამცემებში, სააგენტოს მიერ მინიჭებული 24-ბიტიანი კოდის შეყვანის დამადასტურებელი დოკუმენტი.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ზ“, „თ“, „მ“ და „ნ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საბუთების სააგენტოში წარდგენა ხორციელდება სხ-ის იდენტიფიცირების შემდეგ.

3. განაცხადს ხელს აწერს:

ა) იურიდიული პირის შემთხვევაში - მესაკუთრის/ექსპლუატანტის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი;

ბ) ფიზიკური პირის შემთხვევაში - დაინტერესებული პირი.

4. იმ შემთხვევაში, თუ განაცხადი შემოაქვს მესაკუთრის წარმომადგენელს, მაშინ დამატებით წარმოსადგენია სათანადო წესით დამოწმებული წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი და პირის საიდენტიფიკაციო დოკუმენტის ასლი.

5. სხ-ის უფლებრივი დატვირთვის (გირაო) შემთხვევაში, სხ-ის მესაკუთრემ უნდა უზრუნველყოს სააგენტოს ინფორმირება ამის თაობაზე და წარმოადგინოს უფლებრივი დატვირთვის (გირაოს) დამადასტურებელი საბუთი, რომლის საფუძველზეც სახელმწიფო რეესტრში შეიტანება მონაცემები აღნიშნულ სხ-ზე არსებული უფლებრივი დატვირთვის (გირაოს) შესახებ.

6. სააგენტო ვალდებულია გადაამოწმოს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული საბუთების ნამდვილობა, გამცემი ქვეყნის საავიაციო ხელისუფლებასთან.

7. სააგენტოში განმცხადებლის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საბუთის ან ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება საბუთის ან ინფორმაციის მიმწოდებელ პირს.

8. წარმოდგენილი საბუთების საფუძველზე და სხ-ის იდენტიფიცირების შემდეგ, დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, ამ წესის მოთხოვნების გათვალისწინებით:

ა) სხ გატარდება სახელმწიფო რეესტრში;

ბ) სხ-ს ენიჭება ამოსაცნობი ნიშანი, რომელიც ჩაიწერება „სამოქალაქო საჰაერო ხომალდის რეგისტრაციის სერტიფიკატში“ და ამ წესის III თავით განსაზღვრული წესით დაიტანება სხ-ზე;

გ) სხ-ზე გაიცემა „სამოქალაქო საჰაერო ხომალდის რეგისტრაციის სერტიფიკატი“ (დანართი №2).

9. სხ-ის რეგისტრაციის სერტიფიკატი არის მხოლოდ მისი რეგისტრაციის დამადასტურებელი საბუთი და არ წარმოადგენს სხ-ის საკუთრების დამადასტურებელ საბუთს.

10. რეგისტრაციის სერტიფიკატის მისაღებად წარმოდგენილი განაცხადისა და თანდართული

საბუთების განხილვის, სხ-ის იდენტიფიცირების და გადაწყვეტილების მიღების მაქსიმალური ვადა არ უნდა აღემატებოდეს 60 დღეს.

11. სხ-ის მესაკუთრე/ექსპლუატანტი ვალდებულია სხ-ი იდენტიფიცირებისთვის წარადგინოს იმ დროს და იმ ადგილას, რომელიც შეთანხმებული იქნება სააგენტოსთან. თუ სხ-ის იდენტიფიცირება ხორციელდება საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, სხ-ის მესაკუთრე/ექსპლუატანტი საქართველოს საჰაერო კოდექსის მე-60 მუხლის შესაბამისად, ვალდებულია აანაზღაუროს სააგენტოს სპეციალისტების სამივლინებო ხარჯები.

12. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ე“, „ზ“, „კ“ და „ლ“ ქვეპუნქტებით დადგენილი მოთხოვნებისგან გათავისუფლების უფლება აქვს სააგენტოს გამონაკლისის სახით, განსაკუთრებული სახელმწიფო ინტერესის არსებობის შემთხვევაში შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მომართვის საფუძველზე, იმ საჰაერო ხომალდის მიმართ, რომლის დერეგისტრაცია განხორციელდა საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრიდან, აღნიშნული საჰაერო ხომალდი რეგისტრირებულია სახელმწიფო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრში და მესაკუთრეს წარმოადგენს სახელმწიფო, ან მისი სტრუქტურული ერთეული.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2015 წლის 3 სექტემბრის ბრძანება №145 - ვებგვერდი, 04.09.2015წ.
სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 20 ივლისის ბრძანება №121 - ვებგვერდი, 24.07.2020წ.
სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2022 წლის 30 სექტემბრის ბრძანება №208 - ვებგვერდი, 30.09.2022წ.
სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2022 წლის 5 ოქტომბრის ბრძანება №218 - ვებგვერდი, 07.10.2022წ.
სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2023 წლის 3 ნოემბრის ბრძანება №216 - ვებგვერდი, 06.11.2023წ.
სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2025 წლის 6 თებერვლის ბრძანება №23 - ვებგვერდი, 10.02.2025წ.

მუხლი 5. საჰაერო ხომალდის რეგისტრაციის სერტიფიკატის გამოცვლა

1. სხ-ის მესაკუთრის, სერტიფიკატის მფლობელის ან მათი სახელის და/ან მისამართის შეცვლისას სააგენტოს წარედგინება შემდეგი საბუთები:
ა) განაცხადი (დანართი №3);

ბ) ამ წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“, „დ“, „ე“ , „ვ“ „მ“, „ლ“ და „კ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საბუთები.

2. სხ-ის ამოსაცნობი ნიშნის შეცვლისას სხ-ის მესაკუთრის ან ექსპლუატანტის (მესაკუთრის მიერ მასზე მინიჭებული უფლების შემთხვევაში) მიერ სააგენტოს წარედგინება შემდეგი საბუთები:

ა) განაცხადი რეგისტრაციის სერტიფიკატში ცვლილების შეტანის თაობაზე (დანართი №3);

ბ) არსებული (გამოსაცვლელი) რეგისტრაციის სერტიფიკატი.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული საბუთების სრულყოფილად წარდგენის შემდეგ, სააგენტო იბრუნებს არსებულ სხ-ს რეგისტრაციის სერტიფიკატს და გასცემს სხ-ის რეგისტრაციის ახალ სერტიფიკატს. სერტიფიკატს ენიჭება ახალი ნომერი. აღნიშნულის შესახებ კეთდება სათანადო ჩანაწერი სახელმწიფო რეესტრში.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2025 წლის 6 თებერვლის ბრძანება №23 - ვებგვერდი, 10.02.2025წ.

მუხლი 6. საჰაერო ხომალდის რეგისტრაციის სერტიფიკატის დაზიანებისას დუბლიკატის გაცემა

1. სხ-ის რეგისტრაციის სერტიფიკატის დაზიანების შემთხვევაში სხ-ის მესაკუთრის ან ექსპლუატანტის (მესაკუთრის მიერ მასზე მინიჭებული უფლების შემთხვევაში) მიერ სააგენტოს წარედგინება შემდეგი საბუთები:
ა) განაცხადი (დანართი №3);

ბ) დაზიანებული რეგისტრაციის სერტიფიკატი.

გ) (ამოღებულია - 06.02.2025, №23);

2. წარმოდგენილი საბუთების საფუძველზე სააგენტო გასცემს სხ-ის რეგისტრაციის სერტიფიკატის დუბლიკატს, რომელსაც ენიჭება დაზიანებული რეგისტრაციის სერტიფიკატის ნომერი, ნომრის გასწვრივ იწერება სიტყვა „დუბლიკატი“ და კეთდება სათანადო ჩანაწერი სახელმწიფო რეესტრში.

მუხლი 7. საჰაერო ხომალდის რეგისტრაციის სერტიფიკატის დაკარგვისას დუბლიკატის გაცემა

1. სხ-ის რეგისტრაციის სერტიფიკატის დაკარგვის შემთხვევაში დუბლიკატის მიღებამდე სხ-ის ექსპლუატაცია აკრძალულია.
2. სხ-ის რეგისტრაციის სერტიფიკატის დაკარგვის შემთხვევაში სხ-ის მესაკუთრის ან ექსპლუატანტის (მესაკუთრის მიერ მასზე მინიჭებული უფლების შემთხვევაში) მიერ სააგენტოს წარედგინება განაცხადი (დანართი №3).

3. სააგენტო ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საბუთების წარმოდგენის საფუძველზე, გასცემს რეგისტრაციის სერტიფიკატის დუბლიკატს, რომელსაც ენიჭება დაკარგული რეგისტრაციის სერტიფიკატის ნომერი, ნომრის გასწვრივ იწერება სიტყვა „დუბლიკატი“ და კეთდება სათანადო ჩანაწერი სახელმწიფო რეესტრში.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2025 წლის 6 თებერვლის ბრძანება №23 - ვებგვერდი, 10.02.2025წ.

მუხლი 8. საჰაერო ხომალდის სახელმწიფო რეესტრიდან ამოღება

1. სახელმწიფო რეესტრიდან სხ ამოიღება ამ პუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი პირობის არსებობისას:

ა) სხ-ის მესაკუთრის ან ექსპლუატანტის (მესაკუთრის მიერ მასზე მინიჭებული უფლების შემთხვევაში) განაცხადის საფუძველზე (დანართი №5);

ბ) ამ წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირობების დარღვევისას;

გ) თუ სხ დაშლილია და/ან განადგურებულია, ან შეუძლებელია მისი ევაკუაცია იძულებით დაფრენის ადგილიდან, ან ძებნა-შველის სამუშაოების რეგიონის ძებნა-შველის შესაბამისი სამსახურის დასკვნით სხ დაკარგულია და ძებნა უშედეგოდ დასრულდა;

დ) (ამოღებულია - 28.12.2022, №299);

ე) (ამოღებულია - 28.12.2022, №299);

ვ) (ამოღებულია - 28.12.2022, №299);

ზ) სხ ჩამოიწერა არსებული წესის შესაბამისად;

თ) სხ აღარ გამოიყენება სამოქალაქო ავიაციის მიზნებისათვის;

[ი) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სააგენტოში რეგისტრირებული IDERA-ს დოკუმენტის საფუძველზე, საჰაერო ხომალდის სახელმწიფო რეესტრიდან ამოღებას ითხოვს ამავე დოკუმენტით უფლებამოსილი პირი (კრედიტორი), რომელიც ვალდებულია სააგენტოს წარუდგინოს:

ი.ა) ამ წესის №5 დანართით განსაზღვრული განცხადება;

ი.ბ) მტკიცებულება, რომლითაც დასტურდება, რომ საჰაერო ხომალდთან დაკავშირებით ამ პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ უფლებამოსილ პირს (კრედიტორს) გააჩნია უპირატესი საერთაშორისო ინტერესი, ან ასეთი უპირატესი საერთაშორისო ინტერესის მფლობელს გაცემული აქვს თანხმობა საჰაერო ხომალდის საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრიდან ამოღებასა და საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანაზე; და

ი.გ) ამ პუნქტის „ი.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტთან ერთად, იმ შემთხვევაში, თუ IDERA-ს დოკუმენტით უფლებამოსილი პირი (კრედიტორი) მოგირავნეა – მტკიცებულება, რომლითაც დასტურდება, რომ საჰაერო ხომალდის სახელმწიფო რეესტრიდან ამოღებისა და საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანის განზრახვის თაობაზე, მან, სააგენტოში ამ მუხლით განსაზღვრული განცხადების წარმოდგენამდე სულ მცირე, 10 სამუშაო დღით, ადრე წერილობით აცნობა:

ი.გ.ა) მოვალეს;

ი.გ.ბ) ნებისმიერ პირს, რომელიც მის (კრედიტორის) სასარგებლოდ რაიმე სახის ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, გასცემს თავდებობას ან გარანტიას, პირველი მოთხოვნისთანავე გახსნას სარეზერვო აკრედიტივი ან ნებისმიერი სხვა დოკუმენტი კრედიტის უზრუნველყოფის თაობაზე; და

ი.გ.გ) ნებისმიერ პირს, რომელიც ფლობს საჰაერო ხომალდთან დაკავშირებულ უფლებას და რომელმაც მოგირავნეს აცნობა აღნიშნული უფლების თაობაზე, საჰაერო ხომალდის სახელმწიფო რეესტრიდან ამოღებასა და საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანამდე გონივრული ვადით ადრე.

შენიშვნა 1: ამ პუნქტის „ი.ბ“ ქვეპუნქტის მიზნებისთვის, უპირატესი საერთაშორისო ინტერესის მფლობელის მიერ გაცემული თანხმობა სააგენტოს უნდა წარედგინოს ნოტარიულად დამოწმებული.

შენიშვნა 2: ამ პუნქტის „ი.ბ“ ქვეპუნქტის მიზნებისთვის, კრედიტორის უპირატესი საერთაშორისო ინტერესის დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოადგენს კეიპტაუნის კონვენციით გათვალისწინებული საერთაშორისო რეესტრის მიერ გაცემული „პრიორიტეტის ძიების სერტიფიკატი“.

შენიშვნა 3: ამ პუნქტის „ი.გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვადის ათვლა დაიწყება ადრესატისთვის შეტყობინების ჩაბარების მომდევნო სამუშაო დღიდან.

კ) კრედიტორი სააგენტოს წარუდგენს სასამართლოს ბრძანებას საჰაერო ხომალდის საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრიდან ამოღების, როგორც კეიპტაუნის კონვენციით გათვალისწინებული უფლების დაცვის დროებითი ღონისძიების გამოყენების თაობაზე, რომელსაც თან უნდა ახლდეს ამ წესის №5 დანართით განსაზღვრული განცხადება.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ ამ პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბრძანება გაცემულია უცხო ქვეყნის სასამართლოს მიერ, სააგენტოში მის წარდგენამდე აუცილებელია მისი საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობა. ***(ამოქმედდეს 2026 წლის 1 აგვისტოდან)]***

2. სახელმწიფო რეესტრიდან სხ-ის ამოღება აკრძალულია მოგირავნის თანხმობის გარეშე, თუ სახელმწიფო რეესტრში შეტანილია მონაცემები აღნიშნულ სხ-ზე არსებული უფლებრივი დატვირთვის (გირაოს) შესახებ.

[2. სახელმწიფო რეესტრიდან სხ-ის ამოღება აკრძალულია მოგირავნის თანხმობის გარეშე, თუ სახელმწიფო რეესტრში შეტანილია მონაცემები აღნიშნულ სხ-ზე არსებული უფლებრივი დატვირთვის (გირაოს) შესახებ. აღნიშნული მოთხოვნა არ ვრცელდება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ი“ და „კ“ ქვეპუნქტებით დადგენილ შემთხვევებზე.***(ამოქმედდეს 2026 წლის 1 აგვისტოდან)]***

3. სახელმწიფო რეესტრიდან ამოღებული სხ-ის რეგისტრაციის სერტიფიკატი კარგავს ძალას რეესტრიდან ამოღების მომენტიდან. ამ შემთხვევაში ძალადაკარგულად ითვლება სააგენტოს მიერ ამ სხ-ზე გაცემული ყველა დოკუმენტი.

4. სხ-ის სახელმწიფო რეესტრიდან ამოღების შემდეგ სხ-ის მესაკუთრის/ექსპლუატანტის სააგენტოში სხ-ზე რეგისტრაციის პერიოდში გაცემული ორიგინალი სერტიფიკატების წარმოდგენისთანავე სააგენტო გასცემს „სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრიდან ამოღების სერტიფიკატს“ (დანართი №4).

[5) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ი“ და „კ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას საჰაერო ხომალდის საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრიდან ამოღების თაობაზე, უფლებამოსილი პირის (კრედიტორის) მიერ ამავე ქვეპუნქტებით განსაზღვრული დოკუმენტაციის სრულყოფილად წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.***(ამოქმედდეს 2026 წლის 1 აგვისტოდან)]***

თავი III
საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ხომალდის ამოსაცნობი ნიშანი

მუხლი 9. ზოგადი დებულებები

1. ამოსაცნობი ნიშანი შედგება:

ა) ნაციონალური ნიშნისაგან – 4L, რომელიც ელექტროკავშირის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გამოყოფილია საქართველოს სამოქალაქო ავიაციისათვის და ეს ნიშანი რეგისტრირებულია ICAO-ში;

ბ) სარეგისტრაციო ნიშნისაგან, რომელიც შედგება:

ბ.ა) სამი ინგლისური (ICAO-ს ოფიციალური სამუშაო ენა) მთავრული ასოსაგან, ან

ბ.ბ) ხუთი არაბული ციფრისაგან.

2. სხ-ს, სარეგისტრაციო ნიშანი, ამ მუხლის მოთხოვნების შესაბამისად, ენიჭება სააგენტოს მიერ.

3. სხ-ის სარეგისტრაციო ნიშნის კომბინაცია უნდა მკვეთრად განსხვავდებოდეს უბედურების ან ექსტრემალური სიტუაციების საერთაშორისო სიგნალებისაგან (SOS, XXX, PAN, TTT) და არ იწყებოდეს ასო Q-თი.

4. სარეგისტრაციო ნიშანსა და ნაციონალურ ნიშანს შორის დაიტანება ტირე.

5. ამოსაცნობი ნიშანი ფერით მკვეთრად უნდა გამოირჩეოდეს დატანის ზედაპირის ფონისაგან, იკითხებოდეს გარკვევით და ადვილად. მისი შესრულება ორნამენტით დაუშვებელია.

6. სხ-ზე ამოსაცნობი ნიშანი დაიტანება წყალმედეგი საღებავით ან სხვა ისეთი საშუალებით, რომელიც უზრუნველყოფს დატანილი ნიშნის მდგრადობას და ატმოსფერული პირობების მოქმედების შედეგად ფერს არ იცვლის.

7. დაუშვებელია სხ-ზე დატანილი იქნეს რაიმე ისეთი სიმბოლო ან ნიშანი, რომელიც გამოიწვევს ამოსაცნობი ნიშნის მოდიფიცირებას ან გაურკვევლობას.

8. დაუშვებელია სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებული იმ სხ-ის ექსპლუატაცია, რომელზეც არ არის ამ „წესის“ მე-9 – მე-11 მუხლების შესაბამისად დატანილი ამოსაცნობი ნიშანი.

9. სხ-ის სახელმწიფო რეესტრიდან ამოღების შემთხვევაში, დაუშვებელია 3 წლის განმავლობაში მისი სარეგისტრაციო ნიშნის გამოყენება სხვა სხ-ის სახელმწიფო რეგისტრაციისათვის.

მუხლი 10. ამოსაცნობი ნიშნების განლაგება

1. ჰაერზე მძიმე საფრენ აპარატებზე ამოსაცნობი ნიშანი დაიტანება:

ა) ფრთებზე – ამოსაცნობი ნიშანი დაიტანება მარცხენა ფრთის კონსტრუქციის ქვედა ზედაპირზე, შეძლებისდაგვარად, ფრთის წინა და უკანა ლინგებიდან (ქიმებიდან) თანაბარ მანძილზე;

ბ) ფუზელაჟზე (ან ანალოგიურ კონსტრუქციაზე) ან სხ-ის ბოლოს ფრთაასხმულობის ვერტიკალურ სიბრტყეზე (შემდგომში – კილი) – ამოსაცნობი ნიშანი დაიტანება ფუზელაჟის ან ანალოგიური კონსტრუქციის ორივე მხარეს ფრთასა და კუდის ფრთაასხმულობას შორის ან კილის ორივე მხარეს. თუ ამოსაცნობი ნიშანი დაიტანება კილზე და ამასთანავე სხ-ის კონსტრუქციაში არის რამდენიმე კილი, მაშინ ამოსაცნობი ნიშანი დაიტანება განაპირა კილების გარე ზედაპირებზე;

გ) თუ ფუზელაჟის გარე ზედაპირის ფართი ფრთასა და კუდის ფრთაასხმულობას შორის არ არის საკმარისი ამოსაცნობი ნიშნის დასატანად და ძრავები განლაგებულია ფუზელაჟის ბოლო ნაწილში, მაშინ შეიძლება ამოსაცნობი ნიშანი დატანილ იქნეს ძრავების გონდოლების გარეთა ზედაპირზე;

დ) თუ საფრენი აპარატის კონსტრუქციაში არ არის ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებში მოცემული ანალოგიური კონსტრუქციები (ზედაპირები), მაშინ ამოსაცნობი ნიშანი

დაიტანება ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს საფრენი აპარატის ადვილი ამოცნობა.

2. ჰაერზე მსუბუქ საფრენ აპარატებზე ამოსაცნობი ნიშანი დაიტანება:

ა) დირიჟაბლებზე – ამოსაცნობი ნიშანი დაიტანება მის კორპუსზე ან სტაბილიზატორის ზედაპირზე. თუ ამოსაცნობი ნიშანი დაიტანება კორპუსზე, მაშინ ის დაიტანება კორპუსის ორივე მხარეს, ასევე კორპუსის ზედა ზედაპირზე სიმეტრიის ღერძის გასწვრივ ისე, რომ ამოსაცნობი ნიშნის პირველი სიმბოლო მდებარეობდეს დირიჟაბლის ფრენის მიმართულების წინა მხარეს. თუ ამოსაცნობი ნიშანი დაიტანება სტაბილიზატორზე, მაშინ ის დაიტანება როგორც ჰორიზონტალურ, ისე ვერტიკალურ სტაბილიზატორზე: მარჯვენა ჰორიზონტალური სტაბილიზატორის ზედა ზედაპირზე, ხოლო მარცხენა სტაბილიზატორის ქვედა ზედაპირზე ისე, რომ ასოების (ციფრების) ზედა მხარე მიმართული იყოს სტაბილიზატორის წინა ლინგისაკენ, ვერტიკალურ სტაბილიზატორზე ამოსაცნობი ნიშანი განლაგდება მისი ორივე მხარის ქვედა ნახევარში ჰორიზონტალურად;

ბ) სფეროსებრ აეროსტატებზე (გარდა უპილოტო უმართავი აეროსტატებისა) – ამოსაცნობი ნიშანი დაიტანება დიამეტრალურად საწინააღმდეგო ზედაპირებზე აეროსტატის ჰორიზონტალური მაქსიმალური წრის სიახლოვეს;

გ) არასფეროსებრ აეროსტატებზე (გარდა უპილოტო უმართავი აეროსტატებისა) – ამოსაცნობი ნიშანი დაიტანება მის ოთხივე მხარეს, აეროსტატის მაქსიმალური განაკვეთის ხაზის სიახლოვეს, ჩამოსაკიდი ღვედის ზემოთ ან კალათის ჩამოსაკიდი თოკების დამაგრების ადგილის ზემოთ;

დ) ჰაერზე მსუბუქ საფრენ აპარატებზე (გარდა უპილოტო უმართავი აეროსტატებისა) ამოსაცნობი ნიშანი დაიტანება გვერდებზე ისე, რომ ჩანდეს ორივე მხრიდან და მიწიდანაც;

ე) უპილოტო უმართავი აეროსტატების ამოსაცნობი ნიშანი დაიტანება ამოსაცნობ დაფაზე.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები არ ვრცელდება მეტეოროლოგიურ სფერო-პილოტზე, რომელიც გამოიყენება მხოლოდ მეტეოროლოგიური მიზნებისათვის და იმ უპილოტო უმართავ აეროსტატზე, რომელსაც არ გააჩნია სასარგებლო დატვირთვა.

მუხლი 11. ამოსაცნობი ნიშნის ზომები

1. ამოსაცნობი ნიშნის ყველა ასო და ციფრი არის ერთი სიმაღლის.
2. ამოსაცნობი ნიშნის სიმაღლეა:

ა) ფრთაზე განლაგებული ამოსაცნობი ნიშნის – არანაკლებ 50 სანტიმეტრის;

ბ) ფუზელაჟზე (ან ანალოგიურ კონსტრუქციაზე) და კილზე განლაგებული ამოსაცნობი ნიშნის – არანაკლებ 30 სანტიმეტრი.

გ) ჰაერზე მსუბუქი საფრენი აპარატების (გარდა უპილოტო უმართავი აეროსტატებისა) ამოსაცნობი ნიშნის – არანაკლებ 50 სანტიმეტრის.

3. განსაკუთრებულ შემთხვევებში, როცა საფრენი აპარატის კონსტრუქციაში არ არის ამ „წესის“ მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების ანალოგიური ნაწილები, ან ამოსაცნობი ნიშანი დატანილია ძრავის გონდოლაზე (მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში), ან საფრენი აპარატი ზემსუბუქი საჰაერო ხომალდია, მაშინ ამოსაცნობ ნიშანს აქვს ისეთი ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ საფრენი აპარატის ადვილ ამოცნობას.

4. უპილოტო უმართავი აეროსტატების ამოსაცნობი ნიშნის ზომები განისაზღვრება საა-ს მიერ იმ სასარგებლო დატვირთვის ზომების გათვალისწინებით, რომელსაც ემაგრება ამოსაცნობი დაფა.

5. ამოსაცნობ ნიშანში გამოყენებული სიმბოლოების ზომებია:

ა) თითეული სიმბოლოს სიგანე (გარდა ციფრისა „1“ („ერთი“) და ასოსი „I“ („აი“) და ტირეს სიგრძე შეადგენს სიმბოლოს სიმაღლის ორ მესამედს, ხოლო „M“ („ემ“) და „W“ („დაბლიუ“) ასოების

შემთხვევაში შეიძლება იყოს სიმაღლის ტოლი;

ბ) ყოველი სიმბოლო სრულდება უწყვეტი ხაზით, ხაზის სისქე შეადგენს სიმბოლოს სიმაღლის ერთ მეექვსედს;

გ) ყოველი სიმბოლო წინა სიმბოლოსაგან განცალკევდება მანძილით, რომელიც შეადგენს სიმბოლოს სიგანის ერთ მეოთხედს. ასეთ შემთხვევაში ტირე ითვლება როგორც ცალკე სიმბოლო.

მუხლი 12. ამოსაცნობი დაფა

1. სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებულ საფრენ აპარატს უნდა გააჩნდეს ამოსაცნობი დაფა, რომელზეც ტვიფრვით ან ფრეზირებით აღინიშნება მინიმუმ ამ საფრენი აპარატის ამოსაცნობი ნიშანი.
2. ამოსაცნობი დაფა მზადდება ცეცხლგამძლე მასალისაგან და ისეთი ზომებით, რომ უზრუნველყოფილი იყოს ამ მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნები.

3. სხ-ზე ამოსაცნობი დაფა მაგრდება გამოსაჩენ ადგილზე მთავარ შესასვლელთან ახლოს (გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა).

4. უპილოტო უმართავ აეროსტატზე ამოსაცნობი დაფა მაგრდება სასარგებლო დატვირთვის გარეთა მხარეს, გამოსაჩენ ადგილზე.

მუხლი 13. საჰაერო ხომალდის გარე ზედაპირის შეღებვა და გაფორმება

1. სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებული სხ-ის გარე ზედაპირის შეღებვა-გაფორმება უნდა აკმაყოფილებდეს ამ წესის მოთხოვნებს.
2. სხ-ზე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შეიძლება დატანილ იქნეს საქართველოს სახელმწიფო დროშა და/ან ექსპლუატანტი ავიაკომპანიის ამოსაცნობი ნიშანი (ლოგო).

3. საჰაერო ხომალდები, რომლებიც ძირითადად განკუთვნილია ძნელად მისადგომ და დაუსახლებელ რაიონებში ფრენებისათვის, სასურველია შეიღებოს მიწის ზედაპირის და ადგილობრივი ლანდშაფტის ფერის კონტრასტულ ფერში.

4. სხ-ის შეღებვისას, მის ზედაპირზე დატანილ უნდა იქნეს:

ა) სხ-ის ძირითადი და ავარიული გამოსასვლელების აღნიშვნები;

ბ) ავარიული შემთხვევისას სხ-ში გარედან შეღწევისათვის ამოსაჭრელი ზონების გათვალისწინებისას – მათი აღნიშვნები;

გ) შესაბამისი საექსპლუატაციო წარწერა და ნიშანი.

5. საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებულ სხ-ზე არ შეიძლება დატანილ იქნეს უცხო ქვეყნის სახელმწიფო დროშა.

თავი IV
გარდამავალი დებულება

მუხლი 14. (ამოღებულია)

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2019 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №252 - ვებგვერდი, 31.12.2019წ.